არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ვალდორფის პედაგოგიკის
კამპუსი ლისი

წესდება

თბილისი

2021

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი“ (შემდგომში - ორგანიზაცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2. ორგანიზაციის სახელწოდებაა:

- ქართულ ენაზე: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი“;
- შემოკლებული სახელწოდება ქართულ ენაზე: ა(ა)იპ „ვალდორფი ლისი“;
- გერმანულ ენაზე: „WaldorfpädagogischerCampus Lisi“;
- შემოკლებული სახელწოდება გერმანულ ენაზე: „Waldorf Lisi“;
- ინგლისურ ენაზე: Non-entrepreneurial (non-commercial) legal entity „Waldorf pedagogical Campus Lisi“;
- შემოკლებული სახელწოდება ინგლისურ ენაზე: N(N)LE “Waldorf Lisi”.

1.3. ორგანიზაციადარეგისტრირდა დამფუძნებელთა კრების 2016 წლის 30 იანვრის ოქმის საფუძველზე, როგორც ა(ა)იპ ვალდორფის საბავშვო ბაღი - ლისი.

1.4. ორგანიზაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო (მიმდინარე) და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.5. ორგანიზაცია უფლებამოსილია იყოს მხარე გარიგებაში, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

1.6. ორგანიზაცია უფლებამოსილია, ამ წესდების შესაბამისად, თანასწორობის საფუძველზე, გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებრივ მოძრაობებში და სხვა გაერთიანებებში, კანონით დადგენილი წესით დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, აგრეთვე განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას.

1.7. ორგანიზაციას უფლება აქვს ჰქონდეს საერთაშორისო კონტაქტები იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები, მონაწილეობას იღებდეს იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს.

1.8. ორგანიზაცია თავისი ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს

არ აგებენ. ორგანიზაცია არ აგებს პასუხს საკუთარი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.1. ორგანიზაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.2. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი,ი ჭავჭავაძის 78, კორპ. 4, ბინა 4.

1.3. ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართია:info@waldorf-lisi.edu.ge

მუხლი 2. ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები და უფლებამოსილება

2.1. ვალდორფი ლისისმისიაა:

- გააერთიანოს თავის თავში საბავშვო ბაღი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და პროფესიული სასწავლებელი.
- ორგანიზაციის მუშაობა ეფუძნება ანტროფოსოფიულ სულისმეცნიერებას და განახორციელებს საერთაშორისოდ აღიარებულ ალტერნატიულ ვალდორფის პედაგოგიკას, ქართული, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით და საზოგადოებას სთავაზობს განათლების მაღალ ხარისხს.
- ვალდორფი ლისის მიზანია შექმნას პიროვნების ფიზიკური, გონებრივი, სულიერ-მშვინვიერი ჰარმონიული განვითარებისთვის ხელსაყრელი, ჯანსაღი გარემო, რათა აღიზარდოს ძლიერი ნების, თავისუფალი ადამიანი, რომელიც პრაქტიკულად დაუკავშირდება რეალურ სამყაროს და თვითონ განსაზღვრავს საკუთარ როლს ამ სამყაროში.
- მიზნის მისაღწევად ორგანიზაციაში აღმზრდელ-პედაგოგები და მშობლები ინაწილებენ პასუხისმგებლობას ბავშვისა და მოზარდის განათლების, აღზრდა-განვითარების საკითხებში. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებულების გათვალისწინებას. ურთიერთპატივისცემა, ემპატია და ნდობა პედაგოგიური მუშაობის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, კამპუსი ღიაა ყველასთვის, მიუხედავად აღმსარებლობისა, სქესისა, რასობრივი და სოციალური კუთვნილებისა.
- ორგანიზაციის განვითარებისა და მმართველობის საკითხში ვალდორფი ლისი ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების, სოციალური სამწეროვნების, სულისმეცნიერების პრინციპების გათვალისწინებით ხელმძღვანელობს.

2.2. ორგანიზაცია უფლებამოსილია:

ა) მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება სამუშაო მიმართულების/ღონისძიების/პროექტის განსაზღვრისას წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში და მოიპოვოს ამისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ნებართვა ან ავტორიზაცია;

ბ) ითანამშრომლოს მსგავსი პროფილის ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

გ) აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს გარიგებები, იტვირთოს ვალდებულებები და აწარმოოს სხვა იურიდიული პროცედურები საწესდებო მიზნების განხორციელების მიზნით;
დ) განახორციელოს საქართველოს კანომდებლობით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 3. ორგანიზაციის წევრობა. წევრის უფლებამოსილება.

3.1. პირის ორგანიზაციაშიგაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. წევრობის კანდიდატი უნდა იზიარებდეს ორგანიზაციის მიზნებს და მონაწილეობდეს ორგანიზაციის საქმიანობაში სულ მცირე 5 წლის განმავლობაში. ორგანიზაციაში გაწევრიანება ხორციელდება გამგეობასთან გასაუბრების საფუძველზე, პირის გაწევრიანების საკითხს საერთო კრება განიხილავს მორიგ კრებაზე.

3.2. წევრის უფლებამოსილება წყდება:

- ორგანიზაციის წევრობიდან გასვლის შესახებ პირადი განცხადების საფუძველზე;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუუნაროდ ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში;
- გარდაცვალებისას;
- ორგანიზაციის საერთო კრების მიერ პირის წევრობიდან გარიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების წინაპირობა უნდა იყოს წევრის მიერ ორგანიზაციის წესდების დარღვევა ან ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობა.

3.3. ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის საქმიანობაში, ყველა ღონისძიებაში, პროგრამასა და პროექტში თავისი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობის შესაბამისად;
- მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობასა და მისი ორგანოების მუშაობის შესახებ;
- არჩეული იქნეს მმართველი ორგანოს წევრად;
- მიმართოს გამგეობას ორგანიზაციის წევრობაზე უარის განცხადებით.

3.4. ორგანიზაციის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას ორგანიზაციის წესდება, სამოქმედო პრინციპები და ხელი შეუწყოს მიზნად დასახული ღონისძიებების განხორციელებას;
- დაიცვას მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
- გაუფრთხილდეს ორგანიზაციის რეპუტაციას.

3.5. ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, აგრეთვე იურიდიული პირი.

მუხლი 4. ორგანიზაციის მართვა

ორგანიზაციის მმართველი ორგანოებია:

- წევრთა საერთო კრება;
- გამგეობა.

4.1. საერთო კრების მოწვევის და ჩატარების წესი. კომპეტენცია.

4.1.1. წევრთა სართო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ ყოველწლიურად. წევრთა რიგგარეშე კრება მოიწვევა გამგეობის ან წევრთა 1/3-ის წერილობითი მოთხოვნით და დღის წესრიგის მითითებით.

4.1.2. წევრთასაერთო კრება მოიწვევა ორგანიზაციის ფაქტიურ ადგილსამყოფელზე, თუ მომწვევის მიერ სხვა ადგილი არ იქნა განსაზღვრული.საერთო კრების სხდომა შესაძლებელია გაიმართოს სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით ან კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

4.1.3. წევრთა საერთო კრების ჩატარების შესახებ ორგანიზაციის წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით ან ელექტრონულად კრების ჩატარებამდე 2 კვირით ადრე მაინც. მოსაწვევში აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი, დრო, დღის წესრიგი.

4.1.4. წევრთა საერთო კრებას უძღვება გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

4.1.5. საერთო კრება გადწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ კრება არ აღმოჩნდება გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ იგი განმეორებით მოიწვევა 7 (შვიდი) დღის შემდეგ იმავე წესითა და დღის წესრიგით.

4.1.6. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე მიიღება ყველა წევრის ხმათა 2/3. ორგანიზაციის გაუქმების ან გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრის ხმათა 4/5.

4.1.7. საერთო კრების ჩატარების დროს დგება ოქმი, რომელშიც მითითებული იქნება საერთო კრების ჩატარების ადგილი, დრო, წევრთა რაოდენობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე და კრების მდივანი.

4.1.8. საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ორგანიზაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

ბ) ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;

გ) ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;

დ) თანხმობის გაცემა ორგანიზაციის მიერ სესხის გაცემისა და მიღებასთან დაკავშირებულ, სესხის/სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ გარიგებებზე, ასევე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ და ორგანიზაციის საქმიანობის მესამე პირზე დელეგირებასთან დაკავშირებულ გარიგებებზე;

ე) გამგეობის წევრთა არჩევა და მათი გათავისუფლება;

ვ) დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა;

ზ) გამგეობის წლიური მოხსენების (ანგარიშის) მიღება და მისი საქმიანობის ორგანიზაციისწესდებასთან შესაბამისობის შემოწმება, რისი დადებითად შეფასების შემდგომაც ანგარიშში მითითებულდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე მატერიალურ თანაპასუხისმგებლობას კისრულობენ საერთო კრების წევრებიც;

თ) გადაწყვეტილებისმიღება ორგანიზაციის მიერ კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების, ფილიალების დაფუძნებისა და ორგანიზაციის სხვადასხვა გაერთიანებებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით;

ი) გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

4.2. გამგეობა. გამგეობის სხდომის ჩატარების წესი და კომპეტენცია

4.2.1. ორგანიზაციისსაქმიანობას ხელმძღვანელობსორგანიზაციისგამგეობა.

4.2.2. გამგეობა შედგება ხუთიწევრისგან. გამგეობის წევრს ხუთი წლის ვადით ირჩევსწევრთა საერთო კრება. გამგეობა ირჩევს თავის თავმჯდომარეს. გამგეობის წევრის განმეორებითი არჩევა შესაძლებელია.

4.2.3. გამგეობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ის წარმართავს გამგეობის საქმიანობას და გამგეობის ერთ-ერთ წევრთან ერთადხელს აწერს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, გამგეობის გადაწყვეტილებით თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

4.2.4. გამგეობის ყველა წევრი ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად წარმოადგენს ორგანიზაციას სხვა პირებთან ურთიერთობის დროს და განკარგავს ორგანიზაციის ფინანსურ სახსრებს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენლობისას ან ორგანიზაციის ქონების განკარგვისას არ მოქმედებს გამგეობის გადაწყვეტილებისშესაბამისად, ის მოვალეა აანაზღაუროს შეუთანხმებელი ქმედებით ორგანიზაციისთვის მიყენებული ზიანი.

4.2.5. გამგეობის თავმჯდომარე საჭიროებისამებრ, ან გამგეობის ერთ-ერთი წევრის მოთხოვნით, მაგრამ არაუმცირესთვეში ერთხელ, მოიწვევს გამგეობის სხდომას.

4.2.5.1. გამგეობის სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ გამგეობის სხდომის ჩატარებამდე სამი დღით ადრე მაინც.

4.2.5.2. სხდომა შესაძლებელია გაიმართოს სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით ან კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

4.2.5.3. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა4/5. თუ რომელიმე წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია მისცეს ხმა გადასაწყვეტ საკითხს წერილობით, ან გადასცეს ხმის უფლება მინდობილობით გამგეობის სხვა წევრს.

4.2.5.4. გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

4.2.5.5. გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის წევრების ხმათა სულ მცირე 4/5-ით. გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

4.2.6. გამგეობა მართავს ორგანიზაციის საქმიანობას კეთილსინდისიერად, არსებული კანონმდებლობის, მისი წესდებისა და წევრთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

4.2.7. გამგეობის საქმიანობის მთავარი მიმართულებებია:

- უზრუნველყოს საწესდებო მიზნების განხორციელება;
- კონტაქტი დაამყაროს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან საქართველოში და საზღვარგარეთ, რომელთაც სურთ ფინანსურად მონაწილეობა მიიღონორგანიზაციისსაქმიანობის განხორციელებაში და იზრუნოს კონტაქტის შენარჩუნებაზე; განახორციელოს ფინანსების მოძიება;
- შეიმუშაოს და დაამტკიცოს ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა პროექტები;
- ფინანსებისა და ორგანიზაციის ქონების განკარგვა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესით; შეიმუშავოს და დაამტკიცოს ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი;
- განახორციელოს ზედამხედველობა ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვაზე;
- დაამტკიცოს საზოგადოების საშტატო განრიგი და სახელფასო პოლიტიკა, განსაზღვროს თანამშრომელთა ფუნქციები; გააფორმოს და შეწყვიტოს ხელშეკრულებები;
- მოიწვიოს წევრთა საერთო კრება;
- დამფუძნებელთა კრებას წარუდგინოს ფინანსური და სხვა საქმიანობის ანგარიში კრების მოთხოვნით, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ;
- შეიმუშავოს და დაამტკიცოს ორგანიზაციის შინაგანაწესი, გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები;

4.2.8. გამგეობისწევრები თავიანთ უფლებამოსილებას, როგორც წესი, ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე. გამგეობა უფლებამოსილია ერთობლივად გადაწყვიტოს გამგეობის თითოეული წევრის საქმიანობის (უფლებამოსილების განხორციელებისას შესრულებული საქმიანობის) ანაზღაურება გარკვეული ვადით.

4.2.9. გამგეობის წევრებს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა, თუ მის მიერ მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო ზიანი მიადგება ორგანიზაციას ან მესამე პირებს.

მუხლი 6. ორგანიზაციის ქონება, საწარმოო სამეურნეო საქმიანობა

6.1. ორგანიზაცია უფლებამოსილია ეწეოდეს საწარმოო საქმიანობას ან დააფუძნოს დამხმარე ხასიათის საწარმოები.

6.2. ორგანიზაციის საწარმოო სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას, მოგების დამფუძნებელთა შორის განაწილება დაუშვებელია.

6.3. ორგანიზაციის შემოსავლები შედგება:

- წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებით მიღებული შემოსავლისგან;
- შენატანისგან;
- საჩუქრებისგან;
- შემოწირულობებისგან;
- გაქირავებით მიღებული თანხებისაგან;
- დამხმარე სამეწარმეო საქმიანობით.

მუხლი 7. ორგანიზაციისრეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

7.1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. ორგანიზაციისრეორგანიზაციისა დალიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

7.3. ორგანიზაციისრეორგანიზაციას და ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა,წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

7.4. ლიკვიდაციის დროს უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცის ლიკვიდაციის შესახებ, დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადაეცეს წესდებით გათვალისწინებულ პირებს.

7.5. წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

7.6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა მსგავსი მიზნების მქონე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

7.7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. წინამდებარე წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე მიღებულ შეთანხმებას და ძალაში შედის მისი ხელმოწერის და მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენის შემდეგ.

8.2. წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების ბათილობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

8.3. წინამდებარე წესდებაში განხორციელებული ცვლილება/დამატება ძალაშია და გასათვალისწინებელია ორგანიზაციისა და მესამე პირთათვის შესაბამისი დოკუმენტის მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენის მომდევნო დღიდან.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილი _____ _____

პ/ნ 01008048982 სახელი, გვარი ხელმოწერა

გიორგი სულაშვილი _____ _____

პ/ნ 01008010562სახელი, გვარი ხელმოწერა

მაია ღვინჯილია _____ _____

პ/ნ 01003015721სახელი, გვარი ხელმოწერა

ნანა ღვინჯილია _____ _____

პ/ნ 01010007983სახელი, გვარი ხელმოწერა

თეა როგავა _____ _____

პ/ნ 62004002268სახელი, გვარი ხელმოწერა